

## პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია

იზოლდა ბელთაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა  
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პროფესორი  
E-mail: beltadzeizolda@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის  
ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** სტატიაში მოცულია პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის შესწავლის მცდელობა. საინტერესოა როგორ შეიქმნა ეს კომპანია, როგორი იყო მისი სოციალური შემადგენლობა და კომპანიის წევრად მიღების წესი, რა საქონლით ვაჭრობდნენ, გეოგრაფიულად სად იყო გადაჭიმული სავაჭრო გზები, და ბოლოს, რამ განაპირობა ამ კომპანიის არსებობის წარუმატებლად დასრულება.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ სავაჭრო გზებმა გადაინაცვლა ატლანტიკის და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში. ეკონომიკურად აყვავდა ის სახელმწიფოები, რომელთაც ოკეანეში გასასვლელი ჰქონდათ, სწორედ ამიტომ დაწინაურდა: ბრიტანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, დანია, შვეცია და ჰოლანდია. დაარსდა საპაიო კომპანიები: ბრიტანეთის (1600 წ), ჰოლანდიის (1602 წ), დანიის (1616 წ), პორტუგალიის (1628 წ), საფრანგეთის (1664 წ), ავსტრიის (1717 წ), შვედეთის (1731 წ), რომლებიც ჩაებნენ აღმოსავლეთთან ვაჭრობასა და კოლონიურ ექსპანსიაში.

აღნიშნული კომპანიებიდან ჩვენ შევისწავლეთ ბრიტანეთის, ჰოლანდიის და საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები. ეხლა კი ვცდილობთ გავარკვიოთ, რა ადგილი ეჭირა პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიას ზემოთ აღნიშნულ, სხვა კომპანიებთან შედარებით.

ირკვევა, რომ პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია განსხვავდებოდა სხვა საპაიო (ბრიტანეთის, საფრანგეთის და ჰოლანდიის) კომპანიებისაგან. 1628 წლის აგვისტოში ფილიპე IV-ის ქარტით დაამტკიცეს

პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია. თავდაპირველად იგი 6 წლის ვადით დაარსდა, შემდეგ შეიძლებოდა კიდევ 6 წლით განახლებულიყო.

პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის პოზიციების შესუსება აღმოსავლეთში განაპირობა ბრიტანეთის და ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიების კონკურენციამ. პორტუგალიაში საქონლის წარმოება და ვაჭრობა არ ვითარდებოდა კაპიტალისტური გზით, როგორც ეს იყო ბრიტანეთში, ამიტომ ბრიტანეთის ხელში მოექცა აღმოსავლეთის ქვეყნების იმპორტი და ექსპორტიც. კომპანია დამოკიდებული იყო სამეფო ხელისუფლებაზე საქონლისა და მგზავრების ტრანსპორტირების საკითხში, საკადრო ცვლილებებში. კომპანია დამოუკიდებლად ვერ წყვეტდა საკითხებს. სახელმწიფო მოხელეები და კერძო პირები საკმარისად არ იყვნენ დაინტერესებული ვაჭრობის გაფართოებით და კოლონიური ექსპანსიით. როგორც აღვნიშნეთ, კომპანიის ძირითადი დამფინანსებელი იყო სამეფო ხელისუფლება და ამიტომაც კომპანია მთლიანად დამოკიდებული იყო მასზე. პაის შეტანის ოდენობის, საპაიო კომპანიის წევრად მიღების დიფერენციაცია დააწესეს კომპანიაში, თანხის შეტანის წახალისების და კომპანიის გაფართოების მიზნით. ასევე ნებისმიერ უცხოელ ვაჭარს პორტუგალიის საპაიო კომპანიის წევრად თავისუფლად იღებდნენ, მაგრამ ყოველივე ეს, საბოლოოდ არ ქმნიდა ამინდს პორტუგალიის საპაიო კომპანიის წარმატებისა. კომპანიაში არ იცავდნენ სავაჭრო წესებს, ადგილობრივების მიმართ ეწეოდნენ ძალმომრეობას და რელიგიურ დევნას, რაც იწვევდა მათ მიმართ სიძულვილს და უკარგავდა სახელს კომპანიას. პორტუგალიის საპაიო კომპანიამ მიიღო მყისიერი მოგება და ვერ იქცა მუდმივი შემოსავლის წყაროდ, როგორც ბრიტანეთის და ჰოლანდიის და საფრანგეთის საპაიო კომპანიები.

ამრიგად, მართალია ამ კომპანიამ ხანმოკლე დროით იარსება (1628-1650 წწ) და აღმოსავლეთის ბაზრებიდან გამოძევებულ იქნა ისეთი გავლენიანი და მდიდარი კომპანიების მიერ, როგორიც იყო ბრიტანეთის და ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები, მაგრამ აღნიშნულმა კომპანიამ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პორტუგალიაში საზღვაო ფლოტის განვითარებაში, აღმოსავლეთის საქონლის: ოქროს, ვერცხლის, აბრეშუმის, ბამბის, ფაიფურის და სანელებლების

დიდი რაოდენობით შემოდინებასა და აღმოსავლეთის ქვეყნების კოლონიურ ექსპანსიაში.

*საკვანძო სიტყვები: კომპანია, კრუზადო, მილერისი, საპაიო, ტრაქტატი, ქარტია.*

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ სავაჭრო გზებმა გადაინაცვლა ატლანტიკის და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში. ეკონომიკურად აყვავდა ის სახელმწიფოები, რომელთაც ოკეანეში გასასვლელი ჰქონდათ, სწორედ ამიტომ დაწინაურდა: ბრიტანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, დანია, შვეცია და ჰოლანდია. დაარსდა საპაიო კომპანიები: ბრიტანეთის (1600 წ), ჰოლანდიის (1602 წ), დანიის (1616 წ), პორტუგალიის (1628 წ), საფრანგეთის (1664 წ), ავსტრიის (1717 წ), შვედეთის (1731 წ), რომლებიც ჩაებნენ აღმოსავლეთთან ვაჭრობასა და კოლონიურ ექსპანსიაში.

აღნიშნული კომპანიებიდან ჩვენ შევისწავლეთ ბრიტანეთის {3}, ჰოლანდიის {2} და საფრანგეთის {1} ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები. საინტერესოა რა ადგილი ეჭირა პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიას სხვა კომპანიებთან შედარებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს კომპანია სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ამ საკითხების შესწავლაში დაგვახმარება უცხოელი ავტორების რობინსის, [Robbins N.], ჯეიშურის [Jayasuriya S.S.], სანსონის [Santos Y.], სილვას [Silva C.R.] შრომები.

ისმის კითხვა როგორ შეიქმნა პორტუგალიის საპაიო კომპანია?

პორტუგალელმა მოგზაურმა ვასკო დე გამამ 1497-1499 წლებში აღმოაჩინა სავაჭრო გზა ინდოეთში. დაახლოებით 1500 წელს დაარსდა სამეფოს სავაჭრო სახლი-“ Casa de India”. ირკვევა, რომ სავაჭრო სახლის შემოსავალი ინდოეთიდან საკმარისი არ ყოფილა და პორტუგალიის მეფის სებასტიან პირველის (1557-1578 წწ) ბრძანებით 1560 წელს პორტუგალიის ნებისმიერ მოქალაქეს ვაჭრობის უფლება დართეს ინდოეთში.

1580 წელს როდესაც ესპანეთის მეფე ფილიპე II-მ (1555-1598 წწ) პორტუგალია შემოიერთა, შეიცვალა პორტუგალიის კოლონიური პოლიტიკა ინდოეთში. შემოსავლის ახალი წყაროების ძიებამ აზიაში, ბრიტანეთისა და ჰოლანდიის მიზამდვით დღის წესრიგში დააყენა საპაიო კომპანიის შექმნა, მაგრამ ეს არ განხორციელდა.

1605 წელს, როდესაც ესპანეთის მეფის ფილიპე III-ის (1598-1621 წწ) ბრძანებით შეიქმნა საბჭო- “Conslho da India”, რითაც ინდოეთი მოექცა ჰაბსბურგთა კონტროლის ქვეშ, ეს კი ეწინააღმდეგებოდა პორტუგალელთა ინტერესებს და 1614 წელს მათ ინდოეთში სავაჭრო საქმიანობა შეწყვიტეს. ამის შემდეგ გაჩნდა იდეა პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის შექმნისა. ეს იდეა ეკუთვნოდა პორტუგალიელ ვაჭარს დუარტე გომეს სოლოსის, რომელიც ცხოვრობდა მადრიდში და დაწერა „ესპანური ენის ტრაქტატი- “Discusos sobre IOS Comercios de las Indias”. სოლოსი ამტკიცებდა, რომ საპაიო კომპანიას შეეძლო მეტი კაპიტალის მოზიდვა, აზიაში ვაჭრობის განვითარება, ჰოლანდიისა და ბრიტანეთისათვის კონურენციის გაწევა. ფილიპე IV- მ (1621-1665 წწ) მოიწონა ეს იდეა და 1624 წელს დანიშნა კომისია ჯორჯ მასკარენას მეთაურობით, რომელიც ლისაბონის მერი და სახემლმწიფო საბჭოს წევრი იყო. ასევე გასპარ დე ოლივარესმა, რომელიც 1622-1643 წლებში იყო ესპანეთის სამეფოს პირველი მინისტრი, მხარი დაუჭირა პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის შექმნას და შეიმუშავეს მისი დაარსების გეგმა.

საბოლოოდ 1628 წლის აგვისტოში ფილიპე IV-ის ქარტიით დაამტკიცეს პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია.

თავდაპირველად იგი 6 წლის ვადით დაარსდა, შემდეგ შეიძლებოდა კიდევ 6 წლით განახლებულიყო.

კომპანიის აქციონერთა ფინანსური მდგომარეობა (კაპიტალი) განსაზღვრავდა მათ სოციალურ მდგომარეობას. მინიმალური შესატანი პაი კომპანიაში შეადგენდა 100 მილერისს (კრუზადო). ირკვევა, რომ ყველაზე დიდი ინვესტორი, საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის მსგავსად, იყო სამეფო ხელისუფლება, რომელმაც სამი წლის მანძილზე შეიტანა 1მლნ 500 ათასი მილერისი. კერძო პირების

დაინტერესებისათვის გამოცხადდა წლიური ანაზღაურება 4%, რასაც ემატებოდა დივიდენტები.

კომპანიაში შედიოდნენ უცხოელი ვაჭრებიც: ესპანეთის, იტალიის და ფლანდრიის ვაჭრები, რომელთაც შეეძლოთ პაის შეტანა კომპანიაში. გამოდის რომ, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის მსგავსად, უცხოელსაც შეეძლო პორტუგალიის საპაიო კომპანიის წევრი გამხდარიყო.

მსხვილი ინვესტიციის შემთხვევაში, სხვადასხვა ტიტულის მინიჭებაც ხდებოდა კომპანიის წევრებზე. ასე მაგალითად, 400 მილერისის პაის შეტანით პიროვნება გახდებოდა რაინდი, 12 ათასი მილერისით- სამეფო სახლის ჯენტლმენი, ხოლო გალეონის სრული აღჭურვის შემთხვევაში გახდებოდა სამხედრო ორდენის წევრი, 1- 2 ათასი მილერისის შეტანით პენსია დაენიშნებოდა ყოველწლიურად.

ამდენად, პაის შეტანის ოდენობით, საპაიო კომპანიის წევრად მიღების ასეთი დიფერენციაცია, განპირობებული უნდა ყოფილიყო თანხის შეტანის წახალისების და კომპანიის გაფართოების მიზნით. ასევე ამით უნდა აიხსნას ნებისმიერი უცხოელი ვაჭრის პორტუგალიის საპაიო კომპანიის წევრად თავისუფლად მიღების წესიც.

პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია, წესდებით ექვემდებარებოდა მეფეს და სავაჭრო საბჭოს მადრიდში. ის თავისუფალი იყო ბიუროკრატიული აპარატის ჩარევისაგან და მიენიჭა მონოპოლიური უფლება ვაჭრობაზე ინდოეთში. ასევე კომპანიას უფლება ჰქონდა უსაფრთხოებისათვის ჰყოლოდა გემზე 300- მდე შეიარღვეული პირი.

წლების განმავლობაში პორტუგალურმა ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიამ მოაწყო მარტო 18 საზღვაო ექსპედიცია ლისაბონსა და გოას შორის, 13 მაღალი ტონაჟის გემებით, რომელთაც წარმატებით გაცურეს წყნარი და ინდოეთის ოკეანის წყლები. 1629 წელს ათი ხომალდიდან 7 დაბრუნდა პორტუგალიაში. იმავე წელს, სამი სამეფო გალეონი საქონლით დატვირთული, ასევე მშვიდობით დაბრუნდა. 1629-1630 წლებში ოსტ-ინდოეთის კომპანია გოაში დაიტვირთა 80 ათასი მილერისის ღირებულების ვერცხლით, ოქროთი და მარჯანით და მათ ასევე შეიძინეს ადგილობრივებისაგან სანელებლები, რამაც დაუტოვა 54-76% მოგება.

განსაკუთრებით ფასობდა წიწაკა. მისი წილი 1630-1633 წლამდე კომპანიის მთლიან მოგებაში, შეადგინა 81-98%-მდე. ამ პროდუქციის ტრანსპორტირებას არ ახლდა რაიმე დანაკარგები და მისი მოგება დიდი იყო.[4, 2006: 218.]

1571 წლამდე პორტუგალიასა და ინდოეთს შორის მოძრავი გემების ტევადობა შემოიფარგლებოდა 350-500 ტონამდე, ხოლო XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში გემების ტევადობა აღწევდა 500-600 ტონას.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში პორტუგალიამ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობისათვის საკმაოდ ვრცელი ქსელი ჩამოაყალიბა. პორტუგალიის გამაგრებული პუნქტები გადაჭიმული იყო მოზამბიკიდან იაპონიამდე. ოქრო და ვერცხლი შემოდის სუმატრიდან და ჩინეთიდან, ასევე ვერცხლი იაპონიიდან, წიწაკა მალაბარიდან და ინდონეზიიდან, მიხაკი, ჯავზი, ინდიგო და სხვა სანელებლები მალუკის კუნძულებიდან, დარიჩინი შრი-ლანკიდან, აბრეშუმი და ფაიფური ჩინეთიდან, ბამბის ქსოვილები გუჯარატიდან [5, 2008 :212].

პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიამ გაზარდა საზღვაო ფლოტი, რომლის ტევადობა 500-600 ტონას აღწევდა.[6, 2009: 248, 8,1974: 152-205].

პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია კოლონიურ ქსპანსიასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რელიგიურ საკითხებს. მაგალითად როდესაც ლისაბონიდან ინდოეთში მიცურავდნენ გემები, გადაჰქონდათ სავაჭრო საქონელი სამხედრო დაცვის თანხლებით და ასევე გადაჰყავდათ სასულიერო პირები (მღვდლები), რათა მოექციათ სხვა აღმსარებლობის ხალხი.

არაერთი ავტორი აღიარებს, რომ რელიგიური საკითხების გადაჭარბებულმა ყურადღებამ ხელი შეუშალა კომპანიის სავაჭრო საქმიანობის წარმატებას და ფიასკოს მიზეზი გახდა.

ინგლისელმა ისტორიკოსების შეაფასებით,მე-16 საუკუნეში, პორტუგალია აზიასთან ვაჭრობდა მონოპოლიის საფუძველზე. ეს მონოპოლია არ იყო მოსაწონისი, ვინაიდან მისი ქვეშევრდომები უფრო ჰგავდნენ ავანტიურისტებს და ყაჩაღებს. მეფის მხარდაჭერით მიმართავდნენ ტერორს და უფრო მეკობრეებს ჰგავდნენ, ვიდრე ნამდვილ ვაჭრებს.



ინგლისელი მოგზაურები მიიჩნევდნენ, რომ პორტუგალიის კოლონიური ექსპანსიის წარუმატებლობის მიზეზი უნდა ყოფილიყო ვაჭრობის წესების დაუცველობა, ბიზნესის ორგანიზებაზე უფრო ნაკლები ყურადღების დათმობა, ვიდრე სხვა აღმსარებლობის ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მაგალითად ჯერ კიდევ ადრე, ვასკო დე გამას მეორე მოგზაურობის დროს (1502 წ), მისმა ხალხმა სპეციალურად ჩადირა მექადან მომავალი გემი 700 მომლოცველთან ერთად, გემზე 20 მტრულად განწყობილი მეზღვაური დანით დაჭრეს, 800 კაცი ტყვედ აიყვანეს, რომელთაც ხელები, ყურები და ცხვირი მოაჭრეს [6, 2018: 74-89].

ეს იყო საშინელი სისასტიკე პორტუგალელთა მხრიდან ადგილობრივების მიმართ.

1632 წლის ბოლოდან პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიას ფინანსური სიძნელეები შეექმნა და მომდევნო წელს გემების აღჭურვა ვერ მოახერხა, მაგრამ სამი მოგზაურობა მაინც შედგა და ორი გემი ინდური საქონლით დატვირთული დაბრუნდა. 1633 წლის აპრილში გამოიცა ბრძანება ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის გაუქმების შესახებ და მისი ქონების სამეფო ხაზინაზე გადაცემის შესახებ. ამ დროისათვის კომპანიის ქონება გოაში 117 ათას მილერისს და 5 გემს შეადგენდა. ხოლო კომპანიის მთლიანი ქონება 533 ათას მილერისს.

XVII საუკუნეში კოლონიურ ექსპანსიაში ჩაერთო ბრიტანეთის, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები, რომლებმაც კონკურენცია გაუწიეს პორტუგალიას და 1650 წლისათვის შრი-ლანკადან მთლანად განდევნეს. [7, 2009 : 209-221., 7, 2009: 248].

ამდენად, ოფიციალურად კომპანია გაუქმდა 1633 წელს, ხოლო საქმიანობა შეწყვიტა საბოლოოდ 1650 წელს.

ისმის კითხვა, რამ განაპირობა პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის პოზიციების შესუსება აღმოსავლეთში?

1. პირველ რიგში ბრიტანეთის დ ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიების კონკურენციამ.
2. პორტუგალიაში საქონლის წარმოება და ვაჭრობა არ ვითარდებოდა კაპიტალისტური გზით, როგორც ეს იყო ბრიტანეთში, ამიტომ ბრიტანეთის ხელში მოექცა აღმოსავლეთის ქვეყნების იმპორტი და ექსპორტიც.

3. კომპანიის ძირითადი დამფინანსებელი იყო სამეფო ხელისუფლება და ამიტომაც კომპანია მთლიანად დამოკიდებული იყო მასზე. საქონლისა და მგზავრების ტრანსპორტირების საკითხს, საკადრო ცვლილებებს კომპანია დამოუკიდებლად ვერ წყვეტდა.
4. სახელმწიფო მოხელეები და კერძო პირები საკმარისად არ იყვნენ დაინტერესებული ვაჭრობის გაფართოებით და კოლონიური ექსპანსიით.
5. პაის შეტანის ოდენობის, საპაიო კომპანიის წევრად მიღების დიფერენციაცია დააწესეს კომპანიაში, თანხის შეტანის წახალისების და კომპანიის გაფართოების მიზნით. ასევე ნებისმიერ უცხოელ ვაჭარს პორტუგალიის საპაიო კომპანიის წევრად თავისუფლად იღებდნენ, მაგრამ ყოველივე ეს, საბოლოოდ არ ქმნიდა ამინდს პორტუგალიის საპაიო კომპანიის წარმატებისა.
6. კომპანიაში არ იცავდნენ სავაჭრო წესებს, ადგილობრივების მიმართ ეწეოდნენ ძალმომრეობას და რელიგიურ დევნას, რაც იწვევდა მათ მიმართ სიძულვილს და უკარგავდა სახელს კომპანიას.
7. პორტუგალიის საპაიო კომპანია, რომელმაც მიიღო მყისიერი მოგება, ვერ იქცა მუდმივი შემოსავლის წყაროდ, როგორც ბრიტანეთის და ჰოლანდიის საპაიო კომპანიები.

ამრიგად, პორტუგალიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიამ მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე დროით იარსება (1628-1650 წწ) და აღმოსავლეთის ბაზრებიდან გამოძევებულ იქნა ისეთი გავლენიანი და მდიდარი კომპანიების მიერ, როგორიც იყო ბრიტანეთის და ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები, მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში საზღვაო ფლოტის განვითარებაში, აღმოსავლეთის საქონლის: ოქროს, ვერცხლის, აბრეშუმის, ბამბის, ფაიფურის და სანელებლების შემოდინებასა და აღმოსავლეთის ქვეყნების კოლონიურ ექსპანსიაში.

### ლიტერატურა:

1. ი.ბელთაძე. საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია. Publishing house "Science Journals" History, Archaeology, Ethnology, No XI. 2024. გვ. 537-546.



2. ი. ბელთაძე. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ., 2023, ტომი 22, გვ. 70-80.
3. ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის სათავეებთან. ბსუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ბათუმი, 2022. ტომი V, №1. გვ. 68-80.
4. Robbins N. The Corporation that Changed the World. How the East India Company Shaped the Modern Multinational. London; Ann Arbor, MI, 2006. XV, 218 p.
5. Jayasuriya S.S. The Portuguese in the East: A Cultural History of a Maritime Trading Empire. London: I.B. Tauris, 2008. XV, 212 p.
6. Santos Y. Portuguese Emigration, Shipping Companies and the State: The Business of migrant transport after the Belle Époque // International Journal of Maritime History. 2018. Vol. 30, No. 1. P. 74-89.
7. Silva C.R. Portuguese Encounters with Sri Lanka and the Maldives: Translated Texts from the Age of the Discoveries. Aldershot, VT: Ashgate Publishing, 2009. XXXIV, 248 p.
8. Silva C.R. The Portuguese East India Company 1628-1633 // Luso-Brasilian Review. 1974. Vol. 11, No. 2.

## PORTUGUESE EAST INDIA SHAREHOLDER COMPANY

**Izolda Beltadze**

Doctor of Historical Sciences, Batumi Shota Rustaveli  
State University, Professor  
E-mail: beltadzeizolda@gmail.com

*Presented by the Institute of History of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** Our goal is to study the Portuguese East India Company. How was it created, what was its social composition? and the rules for accepting members of the company, what goods they traded, where the trade routes stretched geographically, what ultimately led to the unsuccessful end of this company's existence.

After the Great Geographical Discoveries, trade routes shifted to the countries of the Atlantic and Pacific Ocean basins. Those states that had access to the ocean prospered economically, which is why they advanced: Promoted: Britain, France, Portugal, Denmark, Sweden and Holland. Joint-stock companies were established: British (1600), Dutch (1602), Danish (1616), Portuguese (1628), French (1664), Austrian (1717), Swedish (1731), which engaged in trade with the East and colonial expansion.

In August 1628, the Portuguese East India Company was established by a charter of Philip IV. It was initially established for a period of 6 years, which could be renewed for another 6 years.

The decline of the Portuguese East India Company's position in the East was due to competition from the British and Dutch East India Companies. In Portugal, the production and trade of goods did not develop in a capitalist way, as it did in Britain, so the import and export of Eastern countries fell into British hands. The company was dependent on the royal government for the transportation of goods and passengers, and for personnel changes. The company could not resolve issues independently. Government officials and private individuals were not sufficiently interested in expanding trade and colonial expansion. The main financier of the company was the royal government, and therefore the company was completely dependent on it. The differentiation of membership in the joint-stock company was established in the company in order to encourage and expand the amount of money invested. Also, any foreign merchant was freely accepted as a member of the Portuguese joint-stock company, but all this ultimately did not create the conditions for the success of the Portuguese joint-stock company. The company did not follow the rules of trade, resorted to violence and religious

persecution against the locals, which caused hatred towards them and lost the company's name. The Portuguese joint-stock company received instant profits and could not become a source of permanent income, like the British and Dutch joint-stock companies

Thus The Portuguese East India Company, although it existed for a short time (1628-1650) and was ousted from the Eastern markets by such influential and wealthy companies as the British France, and Dutch East India Companies, Still, it played an important role in the development of the country's navy, the influx of Eastern goods: gold, silver, silk, cotton, porcelain, and spices, and the colonization of Eastern countries.

***Keywords:*** *Company, cruzado, milleris, shareholder, treatise, charter.*